საიდ. №73673/03

IR 1171174

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №164-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: თ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ს. ებრალიძე, ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის ,,რექსოილ ფეთროქიმია სანაიი ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი" (REKSOİL PETROKİMYA SANAYİ VE TİCARET ANONİM ŞİRKETİ) (მის.: იჩერენქოი მაჰალლესი, ერქუთ სოკაკ იუნერ პლაზა N12, კ:15, ათასეჰირ - სტამბული, თურქეთი; İçerenköy Mahallesi, Erkut Sokak Üner Plaza No: 12 K: 15, Atasehir - İstanbul) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №164-03/14), რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014

წლის 10 ივლისის №1895/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის - ,,REXOIL“ (საიდ.№73673/03 IR 1171174) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-4 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 ივლისის №1895/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „REXOIL" მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „Werner & Mertz GmbH" სახელზე მე-4 კლასის მსგავსი საქონლისათვის დაცული და საქართველოზე გავრცელებული სიტყვიერი ნიშნისა „REX" (რეგ. N695161, რეგ. თარიღი: 13.10.2006წ.). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ სიტყვა ,,OIL“ არაგანმასხვავებელუნარიანია მე-4 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვლისათვის, ვიზუალური განსხვავების მიუხედავად, ადგილი აქვს ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასაქონლო ნიშანს ,,REXOIL“ (საიდ.№73673/03 IR 1171174) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი არ ეთანხება საქპატენტის ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის საქართველოში გავრცელებაზე, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის

,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი. აპელანტის აზრით, გასავრცელებლად წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,REXOIL“ (საიდ.№73673/03 IR 1171174) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „REX" (რეგ. N695161), არ არიან აღრევამდე მსგავსნი. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ვიზუალურად და ფონეტიკურად. განცხადებულ სასაქონლო ნიშანს აქვს მკვეთრად განმასხვავებელი გრაფიკული ნაწილი, რაც ანიჭებს მას იმ დონის ორიგინალურობას, რომ არ მოხდება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

აპელანტის პოზიციით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი არის მხოლოდ სამი სიმბოლოს კომბინაცია, მაშინ როდესაც განცხადებული სასაქონლო ნიშანი დამატებით შეიცავს სიტყვიერ ელემენტს ,,OIL“, რაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს სასაქონლო ნიშნებს შორის არსებულ განსხვავებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის ,,REXOIL“ (საიდ.№73673/03 IR 1171174) საქართველოში მე-4 კლასის საქონლისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. შესაბამისად, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნეს ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ” სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 ივლისის №1895/03 ბრძანება და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნანს ,,REXOIL“ (საიდ. №73673/03, IR 1171174) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-4 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №164-03/14) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,REXOIL“ და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „REX“ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან როგორც განცხადებული, ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. მართალია, განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და სიტყვიერ აღნიშვნასთან ერთად, შეიცავს ასევე გამოსახულებას, მაგრამ იგი ვერ სძენს ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება მე-4 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალისათვის ,,4 - ზეთები, სამრეწველო საპოხი, სამრეწველო საპოხი მასალები, ძრავის ზეთი, მოტორის ზეთი, საპოხი საშუალებები ხელსაწყოებისათვის, ავტომობილების საპოხები, გამჭვალავი სითხეები, მტვრის შთამნთქმელი, დამსველებელი და შემკვრელი შედგენილობები; მყარი საწვავის, კერძოდ, ნახშირის, ბრიკეტირებული ნახშირის, კოქსის, მურა ნახშირი, ბრიკეტირებული ხის ნახშირი, შეშა; აირადი და თხევადი საწვავები,

არაქიმიური დანამატები აირადი და თხევადი საწვავისათვის; საწვავი ავტომობილებისათვის, კერძოდ, ბენზინის, დიზელის, საწვავის ზეთი; ნავთი, არაქიმიური დანამატები ძრავის ზეთებისათვის, ბენზინი და დიზელის საწვავები; სანთლები განათებისათვის, პარუქი ზეთის ნათურებისათვის, გასანათებელი ცვილი, პარაფინის ცვილი," (Industrial oils, industrial greases, industrial lubricants, engine oil, motor oil, grease for machines, automotive greases, cutting fluids, dust absorbing, wetting and binding compositions; solid fuels, namely, coal, briquettes of coal, coke, lignite, charcoal briquettes, firewood; gaseous and liquid fuels, non-chemical additives for gaseous and liquid fuels; fuel for motor vehicles, namely, gasoline, diesel, fuel oil; kerosene, non-chemical additives for engine oils, gasoline and diesel fuels; candles for lighting, wicks for oil lamps, illuminating wax, paraffin wax."). ზემოაღნიშნული საქონლისათვის განცხადებულ სასაქონლო ნიშანში შემავალი სიტყვიერი ელემენტი ,,OIL", წარმოადგენს აღწერილობით და არაგანმასხვავებელუნარიან ელემენტს, ვინაიდან სიტყვიერი აღნიშვნა ,,OIL", ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „ზეთი". იქიდან გამომდინარე, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება მე-4 კლასის ისეთი საქონლის ჩამონათვალისათვის, რომელიც ძირითადად მოიცავს ავტომიბილებისთვის განკუთვნილ საშუალებებს, მათ შორის ძრავის ზეთებს, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სიტყვიერი ელემენტი ,,OIL" ნიშანში წარმოადგენს არადაცვისუნარიან ელემენტს. რაც შეეხება განცხადებულ სასაქონლო ნიშანში შემავალ, მეორე სიტყვიერი ელემენტს „REX", იგი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის „REX" იდენტურია.

ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან ისინი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის მსგავსად: „რექს" - „რექს ოილ".

სააპელაციო პალატის კოლეგიის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტილიზებურად და შეიცავს დამატებით ვიზუალურ ელემენტებს, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია, სასაქონლო ნიშნებს შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-4 კლასის საქონლის ჩამონათვალი, კერძოდ, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, დაცულია მე-4 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვლისათვის ,,4 - სამრეწველო ზეთები და საპოხები; დამატებები სამრეწველო ზეთებისა და საწვავებისათბის; საპოხი მასალები; ყოველივე ზემოხსენებული საქონელი ძრავიანი მანქანებისათვის.“ (4 - Industrial oils and greases; additives for industrial oils and for fuels; lubricants; all the aforesaid goods for motor cars), რაც თავის მხრივ მოიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის ,,REXOIL“ (საიდ. №73673/03, IR 1171174) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,რექსოილ ფეთროქიმია სანაიი ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი“ (REKSOİL PETROKİMYA SANAYİ VE TİCARET ANONİM ŞİRKETİ) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №164-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ” სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 ივლისის №1895/03 ბრძანება, სასაქონლო ნიშანთან ,,REXOIL“ (საიდ. №73673/03, IR 1171174) დაკავშირებით.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: თ. ჯაფარიძე

წევრები: ქ. კილაძე

ს. ებრალიძე